ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲫ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗᲗᲔᲚ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

832
1955

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲝᲨᲘ

"NOTRE DRAPEAU"

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 20

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ ᲐᲡᲝᲑᲐ Paris.
1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

26 მაისი

26 მაისი ჩვენი დიდი დღესასწაულია!...

იგი არ არის ქამი წარსულის უბრალო მოგონების: იგი სიმბოლოა ქართველი ერის უკვდავების, მისი მხნეობის და მთლიანობის, მისი თავგანწირულ ბრძოლის თავისუფლათ არსებობისთვის.

დრო გადის, თაობა თაობას მისდევს მტრის მიერ დაკავებულ საქართველოში, მაგრამ ვერავის გაუბედავს დღემდის თქმა იმის, რომ საქართველო «დაპყრობილია»; ვერავის ძალუძს დაჩრდილოს თავისუფლების უკვდავი შუქი, ქართველის გულში რომ ბრწყინავს, დამოუკიდებლათ არსებობის დაუშრეტელ სურვილთან ერთად.

მტერს ვერ გაუბედავს საქვეყნოთ სთქვას, რომ მძიმე ბორკილში ჩასჭედა მან თავისუფლებისთვის თავდადებული ერი: იგი ამბობს, რომ ქართველი ერი თავისუფალია და თანასწორი სხვა თავისუფალ ერთა შორის...

მტერი ვერ ბედავს, რომ სთქვას საქვეყნოთ: რა წაართვა მან საქართველოს და რას აძლევს იგი ქართველ ერს სამაგიეროთ? იგი მუდამ მალავს, რომ საქართველოს ნივთიერ წარმატების—ვითომ წარმატების!—გამაბრუებელ ციფრებს უკან იმალება ადამიანის ღირსების დამამცირებელი უუფლებობა და ხალხის საშინელი ნივთიერი სიღატაკე.

ვერც ოსტატურ ეშმაკობით და ვერც საშინლათ მკაცრი ზომებით მტერმა ვერ დაიმორჩილა ქართველის ამაყი სული; ამიტომ იგი ახლა სწმენდს საქართველოს, სწმენდს იმას ქართველებიდან! მტერი მონდომებულია მოსპოს ქართველი ერი. თუ დღემდის კიდევ მოიპოვებოდენ ჩვენში ქართულ გვარის მატარებელი ერის მოღალატენი, საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლებათ რომ საღდებოდენ, დღეს საქართველოს რუსები წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის უმაღლეს დაწესებულებებში: პერვუხინები და სუსლოვები!... დაიხოცენ სამშობლოს გამცემი «ბედაურები», გაჰქრა უკანასკნელი ნაშთი «გამოჩენილ» მოღალატეთა და მათ ადგილზე ჩვენში აყენებენ ახლა პატარა კაცუნებს, სრულიად უმნიშვნელოებს და უჩინართ საბჭოთა საქმიანობის ფართო ასპარეზზე.

სამხედრო ბარაბანის ბრახუნის უკან აშკარად მოსჩანს მორალური გაკოტრება საბჭოთა ხელისუფლების, არა-რუს ერების და არა რუსის ქვეყნების გარუსებით რომ ფიქრობენ თავის პრესტიჟის დაცვას. ეს უკანასკნელი საშვალებაა!

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერმა იცის, რომ დათვლილია მისი დღეები. შეიძლება ხიშტით, თოფით და ზარბაზნებით გარემოცულმა, ერთხანს კიდევ იბატონოს იმან, მაგრამ თვითონაც კარგად იცის ბედი დესპოტთა და ტირანების: არას დროს მათ არ ჰქონიათ მომავალი. საბჭოთა ტირანიაც ისე დაემხობა, როგორც დაემხვენ ყველა მისი წინამორბედნი. ამის წარმოდგენა შიშით იპყრობს და აბოროტებს მოძალადეებს...

ჩვენ კი, ჩვენ მუდამ გვამხნევებს ჩვენს წინ გადაშლილი ისტორია ქართველი ერის. ბევრჯელ ტყვეობაში ყოფილს, მაგრამ მუდამ თავისუფლების სიყვარულით აღგზნებულს, ღრმა პოლიტიკურ ჭრილობების გადამტანს და ყოველ ჟამს —გაჭირვების ხანაში—გამთლიანებულს, ქართველ ერს ჰქონდა და აქვს მომავალი. დაიქცევენ იმპერიები, გაჰქრა ხსოვნა დესპოტების, პატარა ქართველი ერი კი ცხოვრობს და მისკენ არის დღეს მიმართული თანაგრძნობა ყველა თავისუფლების მოყვარულ ხალხების.

ამიტომ :

დგას დღეს ქართველი კაცი საკუთარ დანგრეულ კერის წინაშე დამწუხრებული თუ რკინის ბორკილებში ჩაჭედილი ციხეშია ჩაგდებული, შორეულ ქვეყნებში თავის ნებით არის იგი გადახვეწილი თუ სუსხიან ციმბირში ძალით არის გადაგზავნილი, მას მართებს მხნეთ და იმედით შეყურებდეს მომავალს. სასოებით უნდა მოიგონოს მან 26 მაისი და გადახედოს მტრის დაშინებულ სახეს და ადამიანის სისხლით შეღებილს მის მოცახცახე ხელებს: განა მაჩვენებელია ეს მტრის ძლიერების?

მან, მტერმა დაუნდობელმა, დასტანჯა, აწამა, ააწიოკა ქართველი ხალხი, მაგრამ იგი ვერ დაიმორჩილა. მასთან ერთად საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დგანან დღეს, ბოღმით აღსავსე გრძნობით, ყველა ერები. აქ არის დასაბამი მტრის შიშის და მრისხანებისაც.

და აქვე მოსჩქეფს ცხოველმყოფელი წყარო ქართველი ერის იმედის, სიმტკიცის და გამძლეობის. მას წინ მიუძღვის ახლა—ერთ საუკუნეზე მეტი უცხო უღლის ქვეშ ყოფნის შემდეგ—ახალი მნათობი, თავისუფლებისთვის ძველ და ნაცად გზის მაჩვენებელი: 1918 წლის 26 მაისი!..

გაუმარჯოს 26 მაისს!

გაუმარჯოს ქართველ ერის ბრძოლას თავისუფლებისთვის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკონომიური ცენტრალიზმი
თუ გაგატონებული ნაციონალიზმი.

არის საკითხები, რომელთა ხშირი მოგონება აუცილებელია, რადგან მათი ფორმა ხშირად ფარავს საკითხის არსებითი მხარეს და იმის ნამდვილ მნიშვნელობას. ასეთია, სხვათა შორის, საკითხი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ მართველობის დამოკიდებულების «მოკავშირე» რესპუბლიკებთან.

ამ საკითხის კარგად გარკვევას ხელს არ უწყობს არც საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული ცნობები და არც საკითხისადმი ისეთი მიდგომა, ჩვენ ხშირად რომ ვხედავთ უცხოეთში, კერძოთ ემიგრაციის მიერ გამოქვეყნებულ მასალებშიც. გვაკლია ამ საკითხის ამომწურავი ცნობები: საკითხი კი, ძალიან დიდი მნიშვნელობის არის. დიდი მნიშვნელობიისაა იგი იმიტომ, რომ ის პოლიტიკა, საბჭოთა კავშირი ახლა რომ ადგას, ანგრევს საუკუნოებით შექმნილს სხვადასხვა ეროვნებათა სოციალურ-ეკონომიურ ფუძეს და სპობს მათი თავისებურათ განვითარების ბუნებრივ გზებს; სამაგიეროთ, იგი ჰქმნის—და ჰქმნის ძალიან ხელოვნურათ—ახალ პირობებს, რომელნიც აბამენ ერთი-მეორეს საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნულ ერთეულებს და ყველა ამათ უმორჩილებენ ეკონომიურათ «ცენტრს», სწორეთ ისე, როგორც ყავს ისინი მას პოლიტიკურათ დამორჩილებული.

ხოლო, რადგან საბჭოთა კავშირის «ცენტრში» გეოგრაფიულათ თითქმის ისე, როგორც პოლიტიკურათ, დგას რუსეთის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკა, დასახლებული უმთავრესად რუსებით, განაპირა მოკავშირე რესპუბლიკები კი დასახლებული არიან უმთავრესად არა-რუსებით, საბჭოთა კავშირის ცენტრალისტური პოლიტიკა არსებითად მოასწავებს: რუსეთის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩაყენებას და მის მიერ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების თავის მიზნებისთვის გამოყენებას.

ზედმეტია აქ განმეორება იმის, რაც ბევრჯელ გვითქვამს, სახელდობ, ცენტრის მიერ საბჭოთა კავშირის სახალხო-მეურნეობის და ფინანსების სისტემატიურათ გამოყენების შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების თავის მორჩილებაში დაყენების მიზნით. მე მინდა ახლა მხოლოდ ზოგიერთ დამატებითი ცნობების დასახელება ძველი თეზის უფრო გასანათებლათ. ეს ცნობები იმას მოწმობს, რომ მდგომარეობა გრძელდება, სხვადასხვა ფორმით, საერთო მდგომარეობის გაუარესებისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

საბჭოთა კავშირის ხელისუფლება იმას ამაყობს, რომ მან ხელი შეუწყო და ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის განვითარებას მოკავშირე რესპუბლიკებში. ამას არავინ უარსჰყოფს და უბრალო დაკვირვება ამის მაჩვენებელია; ხოლო სულ სხვა საკითხია, თუ რა დაუჯდა მოკავშირე რესპუბლიკებს ეს «ხელის შეწყობა». ამის გასაგებათ უბრალო დაკვირვება არ კმარა და კონკრეტულ ცნობების მოყვანაა საჭირო; საჭიროა ცნობების ერთი-მეორესთან შედარება და მდგომარეობის ასე დაფასება. აქ კი საბჭოთა სტატისტიკა ცდილობს პირდაპირ დაყენებულ საკითხს გვერდი აუხვიოს და სინამდვილე ბურუსში გახვიოს. ასე, მაგალითად, ამ ბოლო დროს საბჭოთა სტატისტიკა აქვეყნებს უმთავრესად მდგომარეობის არა პირდაპირ ცნობებს—წონას, ზომას, სივრცეს და სხვ. —არამედ პროცენტულ შედარებას ერთი კუთხის წარმოებისას მეორე კუთხის წარმოებასთან, მეურნეობის ერთი დარგისას მეორესთან, ახლანდელ მდგომარეობისას წარსულთან, ერთი მოკავშირე რესპუბლიკის საერთო მდგომარეობისას მეორესთან და სხვ. 1913 წელთან შედარებითო—ხშირად ამოვიკითხავთ ხოლმე საბჭოთა სტატისტიკაში—სახალხო მეურნეობის ეს თუ ის დარგი 200—300 და მეტი პროცენტით გაიზარდაო, განსაზღვრულ ვადის განმავლობაში; ხოლო ეს სტატისტიკა იმის თქმას ერიდება, თუ კონკრეტულათ, და არა პროცენტულათ, და საკუთარ მოსახლეობის ზრდასთან და სხვა ქვეყნებთან შედარებით, როგორი არის არსებული მდგომარეობის სურათი და რამდენი იხარჯება მთელი კავშირის საერთო თანხებიდან სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკებზე, რანაირი ხასიათის არის ეს ხარჯი, რა მოაქვს მას ადგილობრივ მოსახლეობისთვის და რა მიაქვს მისგან.

სავსებით ნორმალური იქნებოდა, რომ განაპირა ქვეყნებში ახლა მეტი იხარჯებოდეს, ვინემ წინათ; ამას მოითხოვს, როგორც მოთხოვნილება მათი ბუნებრივი რესურსების უკეთესად გამოყენების, ისე ის გარემოებაც, რომ ძველათ და დიდი ხნის განმავლობაში ცენტრალური რაიონი იმპერიის, ეკონომიურ თვალსაზრისით, პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა «განაპირებთან» შედარებით; მაგრამ ეს ასე არ ხდება, ძველი წესი ფაქტიურათ ძალაში დარჩა, და ასეთ პირობებში ლაპარაკი განაპირა რესპუბლიკებზე თითქოს განსაკუთრებულ ზრუნვის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავეცნოთ ახლანდელ მდგომარეობის დამახასიათებელ ცნობებს *):

		დაიხარჯა საერთოდ წარმოებაში ჩადებულ თანხიდან რესპუბლიკებში 1946—1950 წ.წ. (პროცენტულათ)	რესპუბლიკის მოსახლეობა წარმოადგენს მთელი კავშირის მოსახლეობის (პროცენტულათ)
რუს. ს. ფედ. ს.	რუს—ში	60,52	57,00
უკრაინის	,,	20,66	20,80
ბელორუსიის	,,	2,90	4,00
საქართველოს	,,	1,70	1,95
აზერბაიჯანის	,,	2,47	1,57
სომხეთის	,,	0,59	0,77
ლიტვის	,,	0,64	1,36
ლატვიის	,,	0,86	1,19 და სხვ.

ზემოთ მოყვანილ ცნობებიდან ნათლათ სჩანს შემდეგი: ეროვნულ (განაპირა) რესპუბლიკათა დიდი უმრავლესობა, პროცენტულათ და თავის მოსახლეობის საბჭოთა კავშირის მოსახლეობის საერთო რიცხვთან შედარებით, უმეტეს შემთხვევაში ნაკლებს იღებს მეურნეობის განვითარებისთვის, ვინემ იღებს რუსეთის ს. ფედ. ს. რესპუბლიკა. მაგალითად: საქართველოს მოსახლეობა შეადგენს საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის 1,95 პროცენტს; იღებს კი იგი მთელი «კავშირის» წარმოებაში ჩადებულ თანხების მხოლოდ 1,70 პროც. ასეთივეა დაახლოვებით მდგომარეობა თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკების, გარდა რუსეთის ს. ფედ. ს. რესპუბლიკისა; ამ უკანასკნელის მოსახლეობა წარმოადგენს მთელი «კავშირის» მოსახლეობის 57 პროცენტს; იღებს კი მეურნეობაზე მთელ კავშირში გაწეულ ხარჯების 60,52 პროცენტს. არა-რუს რესპუბლიკებიდან გამონაკლისს წარმოადგენს აგრედვე აზერბაიჯანი და ეს აიხსნება იმით, რომ «ცენტრს» ესაჭიროება ნავთი, ხოლო ნავთის უმთავრესი საბადოები ბაქოს რაიონში იმყოფება.

ასე ჰქრება სინამდვილის სურათზე ერთი დიდი ზღაპარი იმის შესახებ, რომ ვითომ განაპირა მოკავშირე რესპუბლიკების განვითარებას საბჭოთა კავშირის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობოდეს.

* * *

ახლა ვიკითხოთ: ის, რაც კეთდება ადგილობრივათ ეროვნულ რესპუბლიკებში, იგი მაინც თუ კეთდება ამ რესპუბლიკების მოსახლეობის აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყო-

---

*) ვსარგებლობ მიუნხენის ინსტიტუტის «მოამბე»-ში № 6/13—1954 წ. დოც. ა. პოპლიუკოს წერილში მოყვანილ ცნობებს, თუმცა მის ზოგიერთ დასკვნებს არ ვეთანხმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილებლათ და ადგილობრივი წარმოება თუ ვითარდება ისე, რომ შორიდან არ აქვთ მათ საქონელი შემოსატანი?

ყველასთვის ცნობილი ამბავია, რომ მძიმე მრეწველობის განვითარებას—და ამაში ძალიან დიდი როლი უჭირავს სამხედრო მრეწველობას—მსხვერპლათ შეეწირა საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარება. საქართველოში, მაგალითად, მანქანების და ლითონის-გადამამუშავებული მრეწველობა გაზრდილა 181 მილ. მანეთის ღირებულებებიდან (1940 წ.) 477 მილ. მანეთის ღირებულებამდის (1943 წ.) ესე იგი: გაზრდილა 2,6 ჯელ. რაც შეეხება პირველ მოთხოვნილების საგნების დამზადებას, აქ საქართველო—და ასეთივეა მდგომარეობა სხვა განაპირა რესპუბლიკებშიც—შეტანილია საბჭოთა კავშირის საერთო ქსელში და «ცენტრის» მიერ ამ საგნისთვის დამუშავებულ გეგმებს მიყვება. ამ გეგმების მიხედვით, პირველ მოთხოვნილების საგნების დამზადება ძალიან მცირე როლს თამაშობს, მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით, როგორც ჩვენში, ისე სხვა განაპირა არა-რუს რესპუბლიკებში, და უფრო თვალსაჩინო როლს რუსეთის ს. ფედ. ს. რესპუბლიკაში.

ასე, თუმცა რუსეთის სოც. ფედ. ს. რესპუბლიკის მოსახლეობა წარმოადგენს მთელი კავშირის მოსახლეობის 57 პროცენტს, იქ მზადდება მთელი კავშირის წარმოების: ელექტროხის—69,8 პროც., ავტომობილის—91,3 პროც., ბამბის ნაქსოვის—89,2 პროც., შალის—80,9 პროც., მცენარეულ ზეთის—36,9 პროც., კარაქის 57,4 პროც., ხორცის—56,2 პროც., თევზის—85,6 პროც. და სხვ. საქართველოში მთელი კავშირის მოსახლეობის 1,95 პროც. ცხოვრობს; ზემოთ მოყვანილი ნაწარმოების აქაური პროდუქცია უდრის: ელექტრონის—1,6 პროც., ავტომობილის—3,0 პრო., ბამბის ნაქსოვის—0 პროც., შალის 2,4 პროც., აბრეშუმის ნაქსოვების—4,9 პროც., მცენარეულ ზეთის—0,4 პროც., კარაქის—0,4 პროც., ხორცის—1,2 პროც., თევზის—0,3 პროც. და სხვ. ასეთივეა მდგომარეობა, დაახლოებით, სხვა განაპირა რესპუბლიკებშიც. გამონაკლისს წარმოადგენს ამ რესპუბლიკებში ის საგნები, რომელნიც უმთავრესად «ცენტრს» ან სხვა რესპუბლიკებს ესაჭიროებათ; ასეთი საგნების დამზადებაში პროცენტულათ მეტი ადგილი უჭირავს, მაგალითად, საქართველოში: ავტომობილის წარმოებას—(3,0 პროც.), აბრეშუმის ნაქსოვს—(4,9 პროც.) და სხვ. სულ სხვაა კიდევ ამ მხრივ «ცენტრის» გეგმებზე ჩვენში მოწყობილ წარმოებათა ჩაის, ციტრუსების და სხვების როლი.

ამნაირად, მოკავშირე რესპუბლიკების ხვედრია (იმათი, განაპირაზე რომ არსებობენ და ამავე დროს არა-რუსის რესპუბლიკებია) თავის აუცილებელი მოთხოვნილების საგნების შემოტანა «ცენტრის» და სხვა რაიონებში არსებულ ქარხნებიდან და არა საკუთარ წარმოებით თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამო შექმნილია მეტად ახირებული მდგომარეობა: ვითომ მრეწველობა საერთოდ დიახაც ვითარდება საბჭოთა კავშირში, ხოლო ამავე დროს პირველ მოთხოვნილების საქონელმა დამზადების ადგილიდან მომხმარებელს რომ მიაღწიოს, უნდა გაიაროს საშუალოდ: ნაქსოვებმა—1.200 კილომეტრი, ტანსაცმელმა—1.500 კილომ., ფეხსაცმელმა—1.600 კილომ. და სხ. *).

ახსნა მრეწველობის გადანაწილების განაპირებიდან «ცენტრისკენ» მხოლოდ სამხედრო (სტრატეგიულ) მოსაზრებით, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი; ეს არ შეეფერება ადგილებრივ მცხოვრებთა ინტერესებს; არც ერთ ქვეყანას—შესაძლებელ ომის მოლოდინში—განაპირა ქვეყნების ინტერესები «ცენტრის» ინტერესებით არ განუსაზღვრავს და მათი ეკონომიური განვითარება ამ მოსაზრებით არ დაუბრკოლებია: ავიაცია და ატომის ბომბი ახლა ყველაფერს სწვდება! ამიტომ საბჭოთა პოლიტიკა მრეწველობის გადანაწილების შეიძლება უფრო აიხსნას იმით, რომ განაპირა რესპუბლიკების ინტერესი (არა-რუსები რომ არიან დასახლებული) მსხვერპლათ ეწირება რუს. ს. ფედ. ს. რესპუბლიკის ინტერესებს (ეს უკანასკნელი უმთავრესად რუსებით არის დასახლებული). ასეთი ცენტრალისტური პოლიტიკა იმავე დროს ნაციონალისტურ ხასიათს რომ იღებს, ამას მოწმობს სხვა გარემოებანიც.

მაგალითად, ასეთივე პოლიტიკურ, და არა სახალხო მეურნეობის განვითარების მიზნებს ემსახურება საბჭოთა კავშირის ხელისუფლება, როცა იგი ვითომ სოფლის მეურნეობის განვითარების გამოკეთებას შეუდგა «ყამირი და ნასვენი მიწების» დამუშავებას და ამისთვის მოსახლეობის თავისი ისტორიულათ შექმნილ და შეთვისებულ მიწა-წყლიდან ყრის და უდაბნო ადგილებში გადასასახლებლათ ამზადებს.

სივრცე, სოფლის მეურნეობის მოსავლის გასადიდებლათ, არ აკლია არც «ცენტრს» და არც «განაპირა» რესპუბლიკებს თავის საკუთარ რესპუბლიკის ფარგლებში. და თუ ხელისუფლება სოფლის მეურნეობის ვითომ მოწესრიგებას ხალხის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, და განსაკუთრებით ერთი ეროვნულ რესპუბლიკიდან მეორე ეროვნულ რესპუბლიკაში, გადასახლებით ფიქრობს,—ვის შეუძლია არ იფიქროს, რომ ამ შემთხვევაში მის ნაბიჯს პოლიტიკა უდევს საფუძვლათ და არა სახალხო მეურნეობის წარმატების მიზნები? ევროპის ქვეყნებში მიწის სივიწროვეს დასძლიეს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციით, ესე იგი: მიწის უკეთესად მოვლით, სამეურნეო იარაღების, ხელოვნურ სასუქის და საზოგადოთ სოფლის მეურნეობაში ცოდნის შეტანით და სოფლის ნაწარმოების ბაზრებთან დაახლოებით და სხვ.

---

*) იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეტყო ამ მხრივ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობას რაიმე პროგრესი? მაგალითად, ნათესების მოსავალი ერთი მეორეზე არ აღემატება წლიდან-წლამდის 900—1000 კილოგრამს ჰექტარზე; დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი პურის მოსავალი, მაგალითად, უდრის ჰექტარზე: საფრანგეთში—1400 კილოგრამს, შვეიცარიაში—2100 კილოგ., ბელგიაში—2500 კილოგ., დანიაში—2780 კილოგ., ჰოლანდიაში—2800 კილოგ. და სხვ. მოსავალის გასამკეცებაზე ნუ ვილაპარაკებთ, მისი გაორკეცებაც კი გაცილებით მეტს მოსახლეობას გამოკვებს, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ვინემ 20—30 მილიონ ჰექტარის «ყამირი და ნასვენი მიწის ათვისება». ამისთვის არც მოსახლეობის თავის ფუძიდან აყრა იქნება საჭიროა და არც იმის აწიოკება.

მაგრამ, კიდევ უნდა გავიმეოროთ: აქაც პოლიტიკა თამაშობს უმთავრეს როლს და არა ეკონომიურ წარმატების მოსაზრებანი. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას სურს მთელი კავშირის მოსახლეობა გასთქვიფოს ერთი-მეორეში, შეჩვეულ კერას მოსწყვიტოს იგი, წაშალოს იმის ეროვნული სახე, მოსპოს მისი ეროვნული ინდივიდუალობა. კერა, ერთ ისტორიულ პირობებში შექმნილი, ერთი ენით, ზნე-ჩვეულებით, კულტურულ და ეროვნულ შეგნებით შეკავშირებული მას უნდა დაშალოს; მას უნდა ხელოვნურათ და ძალდატანებით ერთად შეყაროს ხალხი, რომელსაც ერთი მეორის არ ესმის, ერთი მეორეს არ იცნობს და ერთი მეორეს ნდობით ვერ მოეპყრობა. ხელისუფლების სურვილია დაუპირდაპიროს ერთი მეორეს მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობა, რათა უფრო ადვილათ იბატონოს ორივე მოპირდაპირეზე. კოტრდება კოლექტიურ მეურნეობის ძალით შექმნის იდილია სოფლის მეურნეობაში; იწყება ახალი ხანა «ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების», რომლის საშვალებით ერთხელ კიდევ ააწიოკებენ მოსახლეობას; და ააწიოკებენ ახლაც სრულიად უშედეგოთ, თუ წესი მეურნეობის იგივე დარჩა, რაც იყო და არის.

გლეხი ხელახლა უნდა დაეპატრონოს მიწას და იგი მოსკოვის საბჭოთა ბიუროკრატიის კნუტის ქვეშ კი არ უნდა აწყობდეს თავის სამეურნეო საქმეებს, არამედ თავისუფლათ, როგორც თავის შრომის და თავის ნაწარმოების სრული პატრონი; მხოლოდ ეს უშველის სოფლის მეურნეობასაც. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ამ გზას რომ ვერ გაყვება, ამას მოწმობს საბჭოთა კავშირის ყოველდღიური ცხოვრების ქრონიკა.

* * *

კომუნისტური გაზეთები ვერც კი ამჩნევენ, თუ რა უმზგავსოებას ამ მხრივ აქვეყნებენ ისინი ხშირად თავის ფურცლებზე.

1. სოფელ ბაყმარში (ზნაურის რაიონში, მდინარე ფრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ნაპირზე) ააშენეს ახალი სახლებიო, გადმოგვცემს გაზ. «კომუნისტი»-ს კორესპოდენტი *); ამ ახალ სახლებში ამ დღეებში «გადავლენ კოლმეურნეები ს. ვანეევი, დ. თედეევი, ა. ვანეევი და სხვები»-ო, დასძენს იგი. ალბათ ესენი ის «კოლმეურნეებია», რომელნიც წარმოადგენენ ქართლის შუაგულში ჩასახლებულს, გარედან მოსულ ხალხს, აქაურ სოფლის მეურნეობის «ასაყვავებლათ»... დავიჯეროთ, ახალ მოსულებს «ახალ სახლებში» რომ ასახლებენ, ამ კუთხის ძველი ქართლელი მოსახლეობა უკვე მოწყობილია და ბინებით დაკმაყოფილებული? ეს დაუჯერებელია.

2. ქართველ მოსახლეობისთვის სულ სხვანაირი პერსპექტივებია წინ გადაშლილი. მაგალითად, თბილისში, როგორც გვატყობინებს იგივე გაზეთი **), იკრიბებიან ახლა ქართველი «ახალგაზრდა პატრიოტები» და ამ კრებებზე გამოდიან ო. სუდაძე, ვ. ძამაშვილი, რ. ლომაძე, ი. ოქროუაშვილი, ჯანელიძე და სხვები და «მგრძნებარე პატრიოტულ სიტყვებს» წარმოსთქვამენ «ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლათ» მიმავალ ქართველ «ახალგაზრდა პატრიოტების» წინაშე...

ასეთია ცოცხალი სურათები ჩვენი ქვეყნის დღევანდელ სინამდვილის. რამდენათ ჩვენში ადგილი აქვს აღმშენებლობას, იმდენათ იმაში ფართო ადგილს (და არა მარტო «ახალ სახლებს») იჭერენ უპირველეს ყოვლისა ვანეევები და ფედეევები: ხოლო, რამდენათ «ყამირი და ნასვენი მიწის ასათვისებლათ» საჭიროა მუშა-ხელი, ამისთვის თავს უყრიან სუდაძეებს, ლომაძეებს, ძამაშვილებს, ჯანელიძეებს და სხვებს და მათ «პატრიოტულ» სიტყვებს ალაპარაკებენ ქართველი ხალხის დასაჯერებლათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა მოითხოვს, რათა თვითონ აიყარონ მამა პაპის მიერ შექმნილ კერიდან და, ვინ იცის სად, გადასახლდენ ახალ სამშობლოს მოსაპოებლათ; ჩვენში კი გარედან მოყვანილი ხალხი უნდა ჩამოსახლდეს!...

ეს ორი ამბავი—და ასეთები ბევრია—სიმბოლიური ასახვა არის ქართველი ხალხის და საქართველოს დღევანდელ მდგომარეობის. ამავე მდგომარეობაში იმყოფებიან სხვა განაპირა, არა რუსის რესპუბლიკებიც; საკმარისია მოვიგონოთ ჩრდილოეთ კავკასიაში, ბალტიის ქვეყნებში და სხვაგან მომხდარი ამბები. ვუწოდებთ ამას ეკონომიურ ცენტრალიზმს, სამხედრო სტრატეგიით გამოწვეულ მდგომარეობას თუ თავაშვებულ ნაციონალიზმს, სულ ერთია. ხალხისთვის იმას ერთი და იგივე შედეგი მოაქვს, შედეგი ერის გამანადგურებელი.

ბ. ბ.

---

*) იხ. «კომუნისტი» 2.3.1955 წ.

**) «კომუნისტი» 8.3.1955 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მცირე შენიშვნები
საერთაშორისო პოლიტიკაზე!

I.

შუა და ახლო აღმოსავლეთში მომხდარი პოლიტიკური ვითარებანი სამართლიანათ იპყრობს ევროპის საზოგადოებრივ აზრის ყურადღებას. ატლანტიქის კავშირის აქტიური პოლიტიკა გზას იკაფავს, პოზიციებს იპყრობს, თავისუფალ ქვეყნების თავდაცვითი გეგმას აძლიერებს, პაკისტან-ოსმალეთის ცნობილ პაქტს ეხლა ოსმალეთ-ირაყის მეგობრული ხელშეკრულება დაემატა. ამ ვითარების მიზანია არა მარტო ამ ორ მეზობელ ერთა დაახლოვება, არამედ არაბთა ქვეყნების ატლანტიქის პოზიციებზე გადმოყვანა, მათი სტრატეგიული და ეკონომიური შესაძლებლობის გამოყენება. ირაყის მიერ აღებულ პოზიციამ,—არაბთა ლიგის მხრივ,—პროტესტი გამოიწვია; ეს გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რომ ირაყი, წმინდა არაბული ქვეყანა, არაბთა ლიგის სულის ჩამდგმელი იყო და მისი საგარეო პოლიტიკის ხაზის მიმცემი. ეგვიპტემ, სირიამ და სხვებმა ოსმალეთ-ირაყის პოლიტიკურ აქტში დაინახეს არა მარტო ლიგის დაშლა, არამედ ზოგიერთ დასავლეთ სახელმწიფოს გავლენის განახლება და გაძლიერება, საკუთარ ნაციონალურ ინტერესთა შებღალვა. მოსკოვმა არ დააყოვნა არაბთა ქვეყნების სიფრთხილე, შიში, უთანხმოება საკუთარ მიზნებისთვის გამოეყენებია. «პრავდა»-ს ფურცლები აჭრელდა წერილებით ამერიკა-ინგლისის აგრესიულ განზრახვებზე...

მოსკოვმა უდიდესი სიმპატიებით თავის მფარველობის ქვეშ დააყენა არაბთა ლიგაში დარჩენილი ერები. ერთა მპყრობელი და მჩაგვრელი არაბთა ქვეყნების დამოუკიდებლობის როლში გამოვიდა. ვინ არ იცის დღეს თუ მოსკოვის ღიმილში რა ეშმაკური შინაარსი იმალება. მისმა მფარველობამ მხოლოდ დააფრთხო და დააშინა თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოყვარული არაბთა ერები. პირველი დღეების შიშმა ადგილი დაუთმო შერიგების სურვილს.—დასავლეთის ქვეყნებთან საერთო პოზიციების გამოსანახავად. ინგლისის მიმხრობა ოსმალეთ-ირაყის პაქტისადმი კიდევ უფრო აჩქარებს არაბთა ქვეყნების დაახლოვებას ატლანტიქის კავშირთან. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია სწორედ ეგვიპტის პრესის გამოსვლა, რომელმაც გადაჭრით დასვა საკითხი: «არჩევანი არ არსებობს, თუ აღმოსავლეთის ქვეყნებს არ სურთ, მოსკოვის მსხვერპლი გახდენ, ისინი უნდა შეუერთდენ ატლანტიქის კავშირს«-ო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების რეალური გონივრული საგარეო პოლიტიკა თანდათანობით წინ ეღობება კრემლის განზრახვებს და თავის ნაციონალურ ინტერესების დაცვას, თავისუფალ ქვეყნების თავდაცვითი გეგმას უფარდებს...

II.

ამ დღეებში ინდონეზიის ქალაქ ბრანდინში ადგილი ჰქონდა უაღრესად მნიშვნელოვან თათბირს, რომელსაც დაესწრო აზია-აფრიკის 29 სახელმწიფოს წარმომადგენლები. თათბირის მომწვევთა განზრახვა იყო,—კოლონიალურ მპყრობელობის წინააღმდეგ გალაშქრება, დასავლეთის პოლიტიკური გავლენის განდევნა, აზია-აფრიკის ქვეყნების ეკონომიურ-კულტურული დაახლოვება და სხვ. თუ ევროპა ამ თათბირს გულცივად შეხვდა, გაპნეულ ერთა თავმოყრა ბუნებრივად ჩასთვალა, მოსკოვმა არ დააყოვნა თავის მოლოცვაში აზია-აფრიკის ქვეყნები—დასავლეთის მიმართ არ გაეღიზიანებია, საკუთარი თავი ერთა თავისუფლების დამცველის როლში არ გამოეყვანა.

თათბირის მსვლელობამ არ გაამართლა, მონაწილე ერთა პოლიტიკური მთლიანობის არსებობა, ვერც მთლიანი ფრონტი გამოსჭედა და არც დასავლეთს დაპირისპირებია. მოხდა მოსალოდნელი. მიმდინარე ეპოქის უაღრესათ განვითარებულ მიმოსვლის საშუალებამ, ერთა ეკონომიურ ინტერესების დაკავშირება-დაახლოვებამ, საკუთარ სუვერენულ უფლების დაცვისთვის საგარეო კავშირის ძებნის საჭიროებამ,—წაშალა საზღვარი რასიულ სხვაობისა.

თვით თათბირზე წარმოდგენილ ერთა შორის, რომელთა ხსენება ოცი წლის უკან არც კი ყოფილა,—ინტერესთა სხვა და სხვაობა აღმოჩნდა. მიღებული დადგენილებანი, სრულებით არ ანელებს ძირითად საკითხებში პოზიციათა განსხვავებას.

ოსმალეთის, ცეილონის, პაკისტანის, სიამის, სამხრეთ ინდოჩინეთის, ფილიპინის წარმომადგენლებმა თათბირის წინაშე გადაშალეს მოსკოვის კოლონიალურ პოლიტიკის საფრთხე.

ირაყის წარმომადგენლის გამოსვლა ნამდვილი გასამართლება იყო მოსკოვის, მან დახატა საბჭოთა კავშირის ფარგლებში ჩაჭედილ ერთა მდგომარეობა: «მოსკოვის კოლონიალიზმი არის ყველაზე საშინელი, რომელიც დაპყრობილ ერებს გადაგვარებას უქადის, მაშინ როცა დასავლეთის სახელმწიფოებმა ბევრს კოლონიებს დაუბრუნეს დამოუკიდებლობა და საერთოდ განწყობილი არიან კოლონიებთან საერთო ენის გამოსანახავათ»-ო.—განაცხადა მან. მოსკოვის ასეთ გაკიცხვას არ მოელოდა ალბათ მისი მოკავშირე ჩინეთი, რომლის წარმომადგენელი არც ცდილა საჯაროთ მის დამცველად გამოსულიყო, მხოლოდ შესძლო საბოლაო რეზოლიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციაში მოსკოვი განსაკუთრებით არ ყოფილიყო აღნიშნული, ამ რეზოლიუციაში დაგმეს კოლონიალური მპყრობელობა ყოველგვარ ფორმებში და მოითხოვს ყველა ერთა თავისუფლება... მოსკოვი ანგარიშში მოსტყუვდა, დასავლეთის თვალში ბეწვს ეძებდა, საკუთარ თვალში რომ დვირე ჰქონდა, ფიქრობდა, ამას ვერავინ დაინახავდა. მისი დიპლომატიის ცდა დასავლეთის გასაკიცხად მარცხით დამთავრდა. არსებითად არც ნეიტრალური პოლიტიკა იქნა მიჩნეული აზია-აფრიკის ეროვნულ ინტერესების დასაცავად. არსებული სამხრეთ-აზიის ცნობილი თავდაცვითი პაქტი კი—კომუნისტურ საშიშროების წინააღმდეგ—საუკეთესო საშუალებათ იქნა აღიარებული... კიდევ მეტი, აზია-აფრიკის მნიშვნელოვან სახელმწიფოთა ატლანტიქის დაახლოვება აშკარა ფაქტია. ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი მოწმობს, რომ თათბირზე წარმოდგენილი აზია-აფრიკის ქვეყნები არა თუ დაუპირისპირდენ დასავლეთსა და მის ცივილიზაციას, არამედ ისინი ჩათრეული აღმოჩნდენ მიმდინარე საერთაშორისო ძალთა ჭიდილში, სადაც მათი პოტენციალური შესაძლებლობა აძლიერებს თავისუფალ ერთა უფლების დაცვას და მით კრემლის აგრესიულ განზრახვების გატარებას წინ ეღობება...

III.

კრემლის დიპლომატიამ ერთხელ კიდევ მარცხი განიცადა ცივი ომის ასპარეზზე. სანამ პარიზ-ლონდონის ხელშეკრულება რეალურ სახეობას მიიღებდა, იგი ყოველ დღიურად იმუქრებოდა, რატიფიკაციის შემდეგ ყოველგვარ მოლაპარაკებას ევროპასთან შეუძლებლად აღიარებდა. მოთავდა თუ არა რატიფიკაცია ყველა მონაწილე სახელმწიფოთა მიერ, მოსკოვი მეორე დღესვე მშვიდობიანი მოლაპარაკების გზას დაადგა, პირბადე ჩამოიხადა. თავისუფალი ქვეყნები შეეჩვიენ მოსკოვის ფერისცვალებას, თუ გუშინდელ მუქარას ისინი არ დაუშინებია, მისთვის არ დაუთმია, არც მის დღევანდელ სამეგობრო ნოტებისთვის დიდი ნდობა არ გამოუცხადებია, მის წინადადებას ოთხთა მოლაპარაკების მოსახდენათ სიფრთხილითა და კრიტიკული მიდგომით შეხვდა...

დასავლეთმა კარგად უწყის, რომ მოსკოვისთვის პრესტიჟის საკითხი არ არსებობს. გუშინდელი პოზიციის შეცვლა დღეს მისთვის მისაღებია, ევროპის გაერთიანების ჩასაშლელად მან ორი წელი იბრძოლა, როცა ამ გაერთიანებას საძირკველი ჩაეყარა,—ავსტრიის საკითხში მიუკარებელი სიჯიუტე გამოსცვალა, თითქოს დათმობაც გააკეთა; თუ ეს დათმობაა, რომ ამ ქვეყანამ თავისი დამოუკიდებლობა დაიბრუნა. ავსტრიის საკითხი,—მოსკოვის ხელში იარაღი იყო, ევროპის გაერთიანების ჩასაშლელად; ეხლა კი იგი ცდილობს ახალი ვითარების თავის სასარგებლოთ გამოყენებას. ავსტრიის დატოვებით გერმანიის საზოგადოებრივ აზრის მიმხრობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ატლანტიქის კავშირში შეყვანის შეფერხებას. აღმოსავლეთ ავსტრიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე თუ თანხმდება, ამ ძალების რუმინია-უნგრეთის ტერიტორიაზე დაბანდებით მისი ზურგი უზრუნველყოფილი რჩება.

მოსკოვი არ დააყოვნებს ავსტრიის განთავისუფლებით, მთელი ქვეყნიერების წინაშე საკუთარი თავი მცირე ერთა დამცველის როლში არ წარმოადგინოს. რჩება კი უდიდესი საკითხი გადაუჭრელი, გერმანიის ეროვნული სხეულის გამთელებისთვის, მოკავშირენი დიდი ხანია მოითხოვენ თავისუფალ არჩევნებს აღმოსავლეთ გერმანიაში. ამის მიღება კი ნიშნავს მოსკოვის ამ ნაწილიდან აბარგებას. თავისუფლება არ ითმენს მოსკოვს, უკანასკნელსაც ეშინია მისი მოახლოვების...

IV.

დასავლეთ გერმანიამ დაიკავა თავისი ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე. ის ვითარცა სუვერენული სახელმწიფო შედის თანასწორი უფლებით ევროპისა და ატლანტიქის კავშირში. მას მიეცა უფლება შეიარაღების. ეს უდიდესი ისტორიული ფაქტი უსათუოდ აჩქარებს მოვლენათა მსვლელობას, ცივი ომის მიმართულებას, აღმოსავლეთ-დასავლეთის დამოკიდებულებას. ოთხთა კონფერენციისთვის მზადება სწარმოებს.

შესაძლებელია კი ძირითად საკითხებში შეთანხმება?.. გულწრფელად სურს მოსკოვს გერმანიის გაერთიანება?.. ან დაუშვებს კი მოსკოვი საერთაშორისო კონტროლს შეიარაღების საქმეში?... ევროპის საზოგადოებრივი აზრი ირყევა, ტოტმანობს,—მოსკოვის მომავალ განზრახვების შეფასებაში.

ნაწილი ე. წ. «ნეიტრალებისა» ხედავს მოსკოვის გულწრფელ ნაბიჯს, მშვიდობიანობას მოწყურებული იგი ეპოტინება ყოველგვარ ილიუზიებს, მოსკოვიც რამოდენიმეთ ამათზედაც ამყარებს იმედს.

ევროპის გამთელება, ატლანტიქის კავშირის გაძლიერება მას უკარნახებს, ლენინის რჩევა გაიხსენოს «შესვენების, შეგუებისა და სულის მოთქმის»... თანაარსებობის საკითხი კვლავ მთელი სიძლიერით ისმის. მოსკოვს სჭირდება კაცობრიობას მისი შესაძლებლობა უმტკიცოს, რადგან შიგნით იგი უდიდეს დაბრკოლებებს განიცდის; კრიზისი სასოფლო მეურნეობაში, სატელიტებში მწვავე ეკონომიური კრიზისი, მსუბუქი ინდუსტრიის დასუსტება, გამოწვეული—ხრუშჩოვის მძიმე ინდუსტრიის გეგმით და სხ. როგორც არა ერთჯერ წარსულში, მიეშველება საბჭოთა რუსეთს საგარეო ფაქტორები, რომ ის კვლავ წელში გაიმართოს?... ვინც ოდნავ უკვირდება უკანასკნელ წლეების პოლიტიკურ მსვლელობათა განვითარებას, კაცობრიობის საუბედუროთ—სამწუხარო დასკვნების გამოტანა შეუძლებელი არაა...

ახლო მომავალი უდიდეს ამბებს გვიმზადებს!

პ. სარჯველაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავსტრიის თავისუფლება.

რვა წლის ტყვეობის შემდეგ კვლავ ელირსა ავსტრიის ერს თავისუფლება. დამოუკიდებელი, შინ და გარეთ თავის თავის პატრონი კვლავ შეუდგება მშვიდათ და წყნარათ საკუთარ ცხოვრების მოწყობას. მას ვნახავთ საკაცობრიო ასპარეზზე გამოსულს, საერთაშორისო ფერხულში ჩაბმულს, თავის ეროვნული დროშით თავისუფალ ერთა ოჯახში სრულ უფლებიან, თანაბარ და თანასწორ წევრათ.

ჩვენ მათ ბედს შევნატრით; სიხარულით და გულის სიამით ულოცავთ ავსტრიის ხალხს ამ ბედნიერებას.

განვლილ რვა წლის მანძილზე ჩვენც ვგრძნობდით მათ განცდას, გულის ღელვას და შიშს, როცა რუსეთის წითელი ვეშაპი ჩამოწვა მათ დედა ქალაქში და მუდამ პირდაღებული მზათ იყო გადაეყლაპა შვიდმილიონიანი მშვიდობის მოტრფიალე ერი.

დღიდგან ავსტრიის ოკუპაციისა კრემლის მიზანი ხომ ის იყო, რომ ვენა გაეხადა თავის დასაყრდნობ წერტილათ, საიდანაც მას უნდოდა გაევრცელებინა თავის გავლენა დასავლეთზე, სხვათა, ჯერ კიდევ თავისუფლათ დარჩენილ, ერთა დასაპყრობათ და დასამონებლათ. და თუ მან ეს ვერ შესძლო, ამაში დიდი და გადამწყვეტი როლი ითამაშა თვით ავსტრიის ხალხმა, რომლის პატრიოტული შეგნება, მხნეობა და თავდადება, მტკიცე ეროვნული ერთობა და დისციპლინა, მუდამ ფხიზელი და ფრთხილი მოქნილი მოქმედება სამაგალითოთ დარჩება უცხო ძალის ბატონობის ქვეშ მყოფ ჩაგრულ ერთათვის. რუსეთმა ვერ გასტეხა ავსტრიელი ვერც სულიერათ, ვერც ფიზიკურათ. ავსტრიაში არ გამოდგა მოსკოველთა ჩვეულებრივი ხერხი—ხალხისაგან გარიყული, სამშობლოს მოღალატე კომუნისტურ უმნიშვნელო ჯგუფის შემწეობით ჩაეგდო ხელში ძალაუფლება და რესპუბლიკა შიგნიდან აეფეთქებინა. არ მიიღო ავსტრიის ხალხმა არც უცხო ძალის ბატონობა, არც რუსეთის პოლიტიკური რეჟიმი, არც მისი აზიური კომუნიზმი. იგი შერჩა თავის თავს, თავის ისტორიულ საფუძველს და სავალ გზას—დემოკრატიის დროშას და დასავლეთის კულტურას.

შინაურმა პოლიტიკურმა და სოციალურმა საკითხებმა ერს ხელი არ შეუშალა ძმურათ ხელი-ხელს ჩაკიდებულნი გაერთიანებულნი ყოფილიყვნენ ერთ ეროვნულ ფრონტში. რვა წლის განმავლობაში ერთათ იდგნენ რუსეთის კომუნისტური დესპოტიის წინაშე ავსტრიელი მუშა და გლეხი, მრეწველი და ვაჭარი, ხელოსანი და სწავლული, ღვდელი თუ ბერი. აი, სად გამოჩნდა ავსტრიის ერის სიძლიერე, რამაც იგი შეინახა და გადაარჩინა საბჭოების იმპერიაში დამონებულ ერთა ბედს.

გ. ერაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ა მ ო ხ დ ა?

(«იქედან» მიღებული ცნობები)

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გაცნობოთ ზოგი რამ, უკანასკნელად კრემლში მომხდარი «გადატრიალების» შესახებ.

... რათა ნათელი გახდეს მალენკოვის «გადადგომის» ნამდვილი მიზეზები საჭიროა აღინიშნოს ის ძირითადი ფაქტორი საბჭოთა ვითარების, რომელიც სტალინის შემდეგ უპირდაპირებს კრემლის ერთ კლასს მეორეს. როგორც არა ერთხელ მოგვიწერია—კრემლში ბრძოლა სწარმოებს, მრავალ სხვა საკითხთა შორის, ორ ძირითად საკითხის ირგვლივ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. პირველის ძირითადი თეზაა: მძიმე მრეწველობა, მსხვილი სასოფლო მეურნეობა, თუ მსუბუქი წარმოება და კოლექტიურ მეურნეობისათვის არტახების მოშვება, რის შედეგი უნდა იქნეს მოსავლიანობის ზრდა და მოქალაქეთა საცხოვრებელი დონის ამაღლება. მეორეს კი საფუძვლად უდევს: საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება გარე'მე მსოფლიოსთან, კომუნისტურია იგი, თუ კაპიტალისტური.

მიუხედავათ მალენკოვის «გადადგომისა» და მრავალ ბობოლა სანოვნიკების საფუძვლიანი «წმენდისა»,—ბრძოლა ამ ორ ძირითად საკითხების ირგვლივ, კრემლის კედლებში, კვლავ გრძელდება. არც ერთი ამათგანი არ გადაჭრილა, ის მხოლოდ გადაიდვა და მომავალი თვეები, ალბად, დიდს და მნიშვნელოვან სიურპრიზებს გვიმზადებს. თუ, რასაკვირველია, დასავლეთი ფხიზლად იქნა და კრემლის «თამაშს» არ აყვა...

მალენკოვის «გადადგომაში»—რა რიგ ეს თქვენ გასაკვირად არ უნდა მოგეჩვენოთ—შინაგან საკითხებმა გაცილებით ნაკლები გავლენა იქონიეს, ვინემ საგარეო ვითარებამ. ამ უკანასკნელ საკითხში ცეკას მდივანსა და მთავრობის თავმჯდომარეს შორის მუდამ არსებობდა უთანხმოება და ბრძოლა: ამ ბრძოლის პირველი მსხვერპლი იყო, სხვა მიზეზთა შორის, ლ. ბერია. ცეკას მდივანი—ნ. ხრუშჩოვი—ცნობილია, როგორც ჩინეთის პოლიტიკის აქტივიზაციის მომხრე და იმის გამოყენების აზიის კონტინენტის სოვეტიზაციისთვის. მალენკოვი კი ამაში ხედავს საომარ პროვოკაციას დასავლეთთან, რისთვისაც დღეს საბჭოთა კავშირი სრულიადაც არ არის მზად. ამ საკითხის ირგვლივ ბრძოლამ მიიღო მწვავე და გადამჭრელი ხასიათი საბჭოთა დელეგაციის—ხრუშჩევის, ბულგანინის და მიკოიანის მეთაურობით—პეკინიდან დაბრუნების შემდეგ.

30267

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, პეკინიდან დელეგაციის დაბრუნების შემდეგ სასწრაფოდ მოწვეული იქნა ცეკას საიდუმლო სესია, 15 ნოემბერს 1954 წ., სადაც ხრუშჩოვმა გააკეთა მოხსენება დელეგაციის მუშაობის შესახებ ჩინეთში. ხაზი გაუსვა იმ ახალ ხელშეკრულებებს და ვალდებულებებს, რომლებიც დადებული იქნა დელეგაციის მიერ პეკინსა და მოსკოვს შორის. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დელეგაციას გაუცია ზომაზე მეტი ავანსები.

ხრუშჩოვის მოხსენების წინააღმდეგ გაულაშქრია დელეგაციის წევრს—ან. მიქოიანს. მას მხარი დაუჭირეს მალენკოვმა, ვოროშილოვმა და საბუროვმა. რასაკვირველია აღნიშნულ პირებმა ყველაფრის მიზეზათ გამოიყვანეს ხრუშჩოვი და მას დააბრალეს თავის უფლების გადაჭარბება. მაგრამ ხრუშჩოვის მხარეზედ დადგენ დელეგაციის დანარჩენი წევრები ბულგანინის მეთაურობით და შეეცადენ ატმოსფერის შენელებას და საშუალო ხაზის აღებას. მაგრამ მდგომარეობა გაამწვავა მოლოტოვის და კოგანოვიჩის გამოსვლამ მალენკოვის წინააღმდეგ. მათ მალენკოვის პოლიტიკა დასახეს, როგორც «სირაქლემას პოლიტიკა», რომელიც, მათი თქმით, შლის და ასუსტებს კრემლის საგარეო პოლიტიკას, მას ხელიდან ეცლება ინიციატივა და ათამამებს იმპერიალისტურ ძალებს გარეთ. შიგნით კი აძლიერებს ოპორტიუნისტულ და მემარჯვენე გადახრების ელემენტებს, როგორც პარტიაში, ისე მუშათა და გლეხთა წრეებში. და მოითხოვენ ამ «ვაკხანალის» აღმოფხვრას.

პლენუმის სხდომები გაგრძელდა სამი დღე. მიუხედავად ცხარე და გრძელი დებატებისა—ვერავითარ კონკრეტიულ შედეგს ვერ მიაღწია. მხოლოდ მიუღებელი იქნა დადგენილება, რომლის ძალით ცეკას პრეზიდიუმს მიენდო შეისწავლოს საფუძვლიანად პლენუმზედ აღძრული საკითხები, საგარეო და საშინაო მდგომარეობასთან დაკავშირებით, და კომპარტიის ცეკას მომავალ სესიას წარმოუდგინოს. როგორც კონკრეტიული ღონისძიებანი, ისე ორგანიზაციული დასკვნები, საბოლოო დადგენილების მისაღებად.

ამრიგად, 1954 წ. ნოემბრიდან—1955 წლის 25 იანვრამდე, ცეკას პრეზიდიუმის მიერ ხდებოდა შესაფერისი «დამუშავება» ყველა ძირითადი საკითხების, რომელიც მიმდინარეობდა, რასაკვირველია, ხრუშჩოვის პირდაპირი ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელმა ცეკას ნოემბრის დადგენილებაში, რატომღაც, დაინახა მისთვის ხელსაყრელი მომენტის დადგომა; ერთი დაკვრით მალენკოვის და მისი ამყოლთა განადგურების შესაძლებლობა. ხრუშჩოვიც შეუდგა თავის საიდუმლო ინტრიგების სამზადისს. მაგრამ, ისე უხეშად და უტაქტოდ ჩაატარა იგი, რომ იმის მოქმედებამ საშინელი რყევა და არევ-დარევა გამოიწვია მართველ წრეებში და დააფრთხო თვით ცეკას პრეზიდიუმის უმრავლესობაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ასეთი ფსიქოლოგიური არევ-დარევის პირობებში იქნა მოწვეული ცეკას იანვრის პლენუმი, ეხლა უკვე ოფიციალურად. პლენუმზე ხრუშჩოვი წარსდგა ვრცელი მოხსენებით და თავის დასკვნებში მოითხოვდა მალენკოვის და მისიანების «გასამართლებას», როგორც «საბოტაჟნიკების და მემარჯვენე გადახრების მეთაურების». მოხსენებამ მეტად ცხარე კამათი გამოიწვია და საეჭვო გახდა იმის მიღება იმ სახით, როგორც იგი წარდგენილი იყო. აშკარა შეიქნა, რომ უკომპრომისოდ შეუძლებელი იყო შექმნილ მდგომარეობიდან გამოსვლა. ამიტომ ხრუშჩოვმა არჩია უკან დახევა და დაავალა თავის მარჯვენა ხელს—პერვუხინს—შემოეტანა კომპრომისული წინადადება. ამ კომპრომისის მიხედვით მალენკოვი სტოვებს თავმჯდომარეობას, მაგრამ რჩება მთავრობაში მინისტრად. მთავრობის პრეზიდიუმი დგება 7 წევრისაგან; 4 ხრუშჩოვის მომხრე, 3 მალენკოვის მეგობრებიდან. ეგევე პროპორცია ვრცელდება მთავრობის დანარჩენ წევრებზედ. წინადადების ამ ნაწილმა გამოიწვია მალენკოვის და მისი მომხრეების სასტიკი პროტესტი. მაგრამ იგი მაინც მიღებული იქნა უმრავლესობით. აგრეთვე უმრავლესობით მიღებული იქნა უმაღლესი საბჭოს მოწვევა და იქ ყველა ცვლილებების დადასტურება და ვრცელი მოხსენებით გამოსვლა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე, სადაც აშკარად იქნება აღებული ხაზი «მტკიცე პოლიტიკაზე».

დიდი დავა გამოუწვევია პერვუხინის წინადადებას მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურაზე. იმის წინადადებით უნდა აერჩიათ მოლოტოვი, მაგრამ ამის წინააღმდეგ წასულა არა მარტო ოპოზიცია, არამედ პლენუმის უმრავლესობაც. ბოლოს და ბოლოს «კომპრომისის» შესანარჩუნებლად ხრუშჩოვი დასთანხმდა ბულგანინის კანდიდატურას, სამაგიეროდ უარყოფილი იქნა ვოროშილოვის წინადადება, რათა მოხსენებით ძირითად საკითხებზე გამოსულიყო არა მოლოტოვი, არამედ ახალი თავმჯდომარე—ბულგანინი.

მოლოტოვის მოხსენება სავსებით ემყარება ხრუშჩოვის თეზისებს; ხოლო ეს უკანასკნელი კი არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული სავსებით. ვიცით მხოლოდ, რომ მისი საიდუმლო ნაწილი, ორ მთავარ ფრონტზე ქმნის სრულიად ახალ ვითარებას. საშინაო ფრონტზე წამოყენებულია ახალი ლოზუნგი: უკან სტალინიზმისაკენ; დახურვა ყველა იმედების მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე და იმის კეთილდღეობაზე; ყველაფერი ჯარს—და ამ გზით მიმართვა კავშირის მთელი სამეურნეო გეზის ისე, რომ სავსებით უზრუნველყოფილი იქნეს საჭირო რესურსებით, არა მარტო წითელი ჯარი, არამედ ჩვენი მეგობრები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, აზიაში და ევროპაში.

ხოლო საგარეო პოლიტიკაში: აშკარა მხარის დაჭერა ჩინეთის ყოველგვარ აგრესიისათვის აზიაში. ამავე დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

«თამაშის» გაგრძელება დასავლეთის მოკავშირეთა დასაშალად და «პარიზის მოთანხმებათა» ყოველივე ზომებით ჩასაშალად. მაგრამ, თუ ეს ტაქტიკა არ გასჭრის, მაშინ დათანხმება მოლაპარაკებაზე და ზოგიერთ საგრძნობ დათმობებზედაც ევროპაში, რათა ამით აცილებული იქნეს პირდაპირი ომის საშიშროება ჩვენსა და დასავლეთს შორის მიმდინარე პერიოდში.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, იანვრის პლენუმზე დიდი სიტყვით გამოსულა მარშალი ჟუკოვი. იგი თავის სიტყვაში გარკვევით იცავდა ხრუშჩოვის თეზას ჩინეთის საკითხში და საჭიროდ სთვლიდა, სტრატეგიული მოსაზრებით, ჩინეთის აგრესიული მისწრაფებების წაქეზებას და გამოყენებას აზიაში. სამაგიეროდ, იგი კატეგორიულად წინააღმდეგი წასულა მძიმე ინდუსტრიის საკითხში ურა პოლიტიკის წარმოების და მოითხოვდა სათანადო ყურადღების მიქცევას მსუბუქი ინდუსტრიისათვისაც. ამასთან ერთად იგი მოითხოვდა უფრო შემარიგებელი პოლიტიკის წარმოებას დასავლეთით და ყოველივე ზომების მიღებას გერმანიის სანეიტრალიზაციოთ. ჟუკოვი, აგრეთვე, სასტიკი წინააღმდეგი წასულა რაიმე «სისხლიანი» რეპრესიების პარტიულ ურთიერთობაში და «შიში» გამოუთქვამს: «თუ ამ გზას დავადექით (!), მალე იძულებული ვიქნებით რეჟიმსაც გამოვეთხოვოთ»-ო...

ამავე სხდომაზე ხრუშჩოვის განცხადებას, რომ «უნდა ვქნათ ყველაფერი, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, რათა ამერიკა-ჩინეთს შორის ომი მიუცილებელი გახდესო», გამოუწვევია მალენკოვის გესლიანი რეპლიკა: «ტყვილა ფიქრობს ამხ. ხრუშჩოვი, რომ ვაშინგტონში სხედან ბრიყვები. ომი ამერიკასა და ჩინეთს შორის, ყოვლის უპირველესად ნიშნავს ომს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის, ყველა იმ საშინელი ატომიური შედეგებით, რომლის დასკვნა იქნება ცივილიზაციის განადგურება. ამიტომ ცეკას ვალია ფხიზლად ადევნოს თვალ-ყური ჩინეთის ხელმძღვანელობას, რათა ერთ მშვენიერ დღეს საბჭოთა კავშირმა პროვოკაციაში არ ამოჰყოს თავი»-ო.

როგორც შემდგომ ამბებმა დაამტკიცეს, მალენკოვის ამ შენიშვნას ცუდად არ ჩაუვლია. ამან, ცოტად თუ ბევრად, ცივი წყალი გადაასხა ცეკას ზოგიერთ თავგახურებულ მარშალს.

ამრიგად, მიუხედავად დიდი სამზადისისა, ხრუშჩოვმა ვერ შესძლო 100 პროცენტით ცეკასათვის თავზე მოეხვია თავისი სურვილები და ამ უკანასკნელის ავტორიტეტით გაენადგურებია მოწინააღმდეგენი. ამით, რასაკვირველია, «კონფლიქტი» არ გადაჭრილა, იგი გადადებულია. მალენკოვი და მისი მეგობრები «შელახული» გამოვიდენ და არა განადგურებული. ეს კი ახალია—და თანაც მთავარი—ჩვენს ვითარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში. ამიტომ სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში დავდგეთ ახალი, საშინელი კრიზისის წინაშე და იგი გახდეს საბედისწერო თვით რეჟიმისათვის. ამის ეშინია კრემლის დღევანდელ ბატონებს; ამანვე შეაჩერა ხრუშჩოვის ამართული ხმალი და ამასვე მოელის, სულგანაბული, საბჭოთა მოქალაქე.

რაშია საქმე? საიდან იღებენ ასეთ იმედებს საბჭოთა უუფლებო ადამიანები? ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს იძლევა სამი ფაქტორი: 1. ქვეყნის კატასტროფიული მდგომარეობა სამეურნეო ფრონტზე; 2. კრემლში დაწყებული ბრძოლა პატარა დიქტატორებს შორის და 3. დასავლეთის გამოფხიზლება, იმის უნარის ზრდა მოსკოვის ყალთაბანდობის შეცნობაში. ამ უკანასკნელი ფაქტორის არაპირდაპირ პროპაგანდას საკმაოდ ეწევიან თვით კრემლის ჭკუის კოლოფები. ამასთან ერთად საუცხოოდ შესძლეს ხალხის დარწმუნება, რომ ამერიკა და მისი მოკავშირეები მართლაც მძლავრი და შეიარაღებული არიან, რომ კრემლის ბატონებს გაანადგურებენ...

1954 წელი დამთავრდა სამეურნეო პროდუქტების გაუგონარი დეფიციტით. ახალი მიწების ათვისების სტატისტიკა აღმოჩნდა გაბერილი და ყალბი... თითქმის ნახევარი, ე. წ., «მოხალისეთა» არმიისა განადგურდა, ჯერ კიდევ 1953—54 წ. ზამთრის ყინვებში და 1954 წ. აუტანელ სიცხეებში ყაზახისტანის უდაბნოებში და ციმბირის ტაიგებში.

ეხლა ხრუშჩოვი მთელ თავის იმედებს ამყარებს 1955 წ. მოსავალზე. ამისთვის უკვე მობილიზებულია ყველა ტექნიკური საშვალებანი და ადამიანთა კონტიგენტები კავშირის ყველა კუთხიდან... როგორც ამბობენ, განზრახულია მოლდავეთის რესპუბლიკის მცხოვრებთა «ნებაყოფლობით» გადასახლება შუა აზიის რესპუბლიკებში და აქ იქაურ მცხოვრებთა დასახლება. ალბათ, მოლდაველთ უკან მიყვებათ სხვა მოსაზღვრე რესპუბლიკების ხალხებიც. ვინ? ან ვისზედ არის რიგი—კაცმა არ იცის.

ერთი სიტყვით, მიღებულია ყველა ზომები, რათა 1955 წ. ქვეყანას «მისცენ» საკმაო რაოდენობით მარცვლეული და «ფურაჟი». მაგრამ საეჭვოა, შექმნილ პირობებში და ხრუშჩოვის უტვინო ხაზით, იგი მიღწეული იქნეს.

ხრუშჩოვის ახალი ფანტაზია—პურის მეურნეობა შესცვალოს სიმინდით—ვერაფერი იმედია. ამ ნიადაგზე დღეს მთელი საბჭოთა კავშირი გასაშტერებელ სურათს იძლევა. მთელი ქვეყანა კრემლის გიჟებმა გადააქციეს ახალი «შეჯიბრების» ასპარეზად. შეჯიბრის საგანია—რომელი კოლმეურნეობა მოიყვანს სიმინდის მეტ მოსავალს. ყველაზე შორს ჩრდილოეთში მდებარე კოლმეურნეობანიც შეუდგენ სიმინდის მოშენებას და თხოულობენ კრემლიდან ამ «კულტურის» სპეცებს. და, აი «იგზავნებიან» სათანადო ადგილებში «სიმინდის სპეციალისტები»—საქართველოდან, განსაკუთრებით სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრელოდან და ყირიმიდან,—რათა შიგა რუსეთის და ციმბირის კოლმეურნეებს გააცნონ სიმინდის მოშენების მეთოდები. ჩვენში ახლა ისეთი სახით სწარმოებს ეგ სასიმინდო პროპაგანდა, რომ კაცს ეგონება,—ქვეყნის ბედი სიმინდის მოსავალზედ არის დამყარებული. ეს კი, უეჭველია, ვერაფერი საიმედო პერსპექტივა არის კრემლის დიქტატორთათვის...

როგორც ჩვენს დეკემბრის წერილში გწერდით, დღეს აქ ყველა მოელის, რომ ხრუშჩოვი სწორედ ამ აგრარულ ფრონტზე მოიტეხს კისერს... არ ვიცით რატომ, მაგრამ აქ ყველას სწამს, რომ იგი განწირულია. საბჭოთა ატმოსფერა გაჟღენთილია ელექტრონით, განწყობილება ნერვიული და დაჭიმულია. შიში და უნდობლობა გამეფებულია კრემლის კედლებში. აღარ არის ძველებური მაგარი ხელი, მძლავრი ავტორიტეტი. პატარა დიქტატორები გათანასწორებული არიან არარაობაში. ამიტომ მათი ტრაბახი—რომ ჩვენ გავანადგურებთ ამერიკას და კაპიტალისტურ ქვეყანას—აქ აღარავის ჯერავს. იგი აქ კრემლის ჩვეულებრივ «ბლეფად» მიაჩნიათ. პირიქით, აქ რწმენაა, რომ კრემლი ყოველგვარ დათმობებზედ წავა დასავლეთთან, ოღონდ ხელისუფლება შეინარჩუნოს და ომი აიცდინოს, თუ ეს უკანასკნელი, მართლა რეალური საფრთხე გახდა...

დევნილი.

ქ. №.
10 აპრილი 1955 წ.

მოსკოვის მორიგი თვალთმაქცობა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ შექმნილი კოლექტიური საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს თავისუფალ სამყაროსთან ამა თუ იმ სახით კეთილგანწყობილების დამყარებას... მოსკოვის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი «თანაარსებობის» გულისხმობს კომუნისტურ-ტოტალიტალისტურ საბჭოთა კავშირის და თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყნების ერთად თანაარსებობას და მათ ურთიერთ შორის მშვიდობიანობის დამყარებას...

მოსკოვის მიერ ახლა გადადგმული ნაბიჯი ავსტრიის სუვერენობის აღდგენის საკითხში არის პირველი კონკრეტიული ცდა ამ მიმართულებით. ნუ გაგვიკვირდება, თუ ახლო მომავალში კიდევ გავხდეთ მოწამე ასეთივე დათმობებისა. მოლოტოვის და ავსტრიის დელეგაციის შორის მოსკოვში დადებული ხელშეკრულობის მე-16 მუხლი გულისხმობდა ავსტრიაში მცხოვრებ ემიგრანტების რეპატრიაციას, მაგრამ საკმარისი იყო მოკავშირეების რწმუნებულებს ვენაში გამოეთქვათ თავისი უკმაყოფილება ამ მუხლის შესახებ, რომ მოსკოვს ხელი აეღო ემიგრაციის რეპატრიაციის მოთხოვნაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ არ გვწამს ბოლშევიკების გულწრფელობა და კარგად გვესმის, რომ ისინი იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ თავისუფალ ქვეყნების შეკავშირებას თავდაცვის მიზნით. ავსტრიის სოციალისტური პარტიის ორგანო აღნიშნავს, რომ მოსკოვის დათმობები ავსტრიის საკითხში შეიძლება აიხსნას მხოლოდ დასავლეთ სახელმწიფოთა მიერ პარიზის ხელშეკრულებების მიღებითო.

ბოლშევიკები ვითომ იცვლიან ძველ პოზიციასაც ემიგრაციისადმი და ჩვენდამი «ჭირისუფლობას» და «გულშემატკივრობას» იჩენენ ახლა. მოსკოვმა კარგათ იცის, თუ რა როლს თამაშობს ემიგრაცია ცივი ომის წარმოების პროცესში, რომ პოლიტიკური ემიგრაცია ყოველგან ჩაბმულია ანტიბოლშევიკურ მუშაობაში. ამ მხრივ ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბოლშევიკურ რკალში მომწყვდეულ ერებისთვის ნამდვილ ცნობების მიწოდებას დაარსებულ რადიო სადგურებიდან. დასავლეთის ამ «თავისუფალ ხმას» იქ დიდის ინტერესით ისმენენ. ხოლო ამ რადიო სადგურებში ხომ უმთავრესად ემიგრანტები მუშაობენ და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მოსკოვი ამ ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ემიგრაციას. თუ ამდენხანს ჩვენ მათგან ხალხის მტრებათ ვიყავით გამოცხადებული, დღეს დამოკიდებულობა ემიგრაციისადმი ვითომ შეიცვალა. ჩვენი მისამართით გადმოგზავნილ მოწოდებებში ისინი ეხებიან ჩვენს უნუგეშო ნივთიერ მდგომარეობას უცხოეთში, ჩვენს სულიერ ტანჯვას და სამშობლოზე დარდს. ემიგრაციის გადაბირების მიზნით ისინი აარსებენ ბერლინის საბჭოთა სექტორში კომიტეტს «ზა ვოზვრაშჩენიე ნა როდინუ» საბჭოთა გენერლის მიხაილოვის მეთაურობით. ეს კომიტეტი მოუწოდებს ემიგრაციას ძალიან ნაზი სიტყვებით, რათა დაბრუნდენ საყვარელ სამშობლოში.

ჩვენ შორის არ მოიძებნება ისეთი ვინმე, ვინც ამ სიტყვებს დაიჯერებს, ესენი ხომ ათი წლის წინადაც ასეთივე სიტყვებით მიმართავდენ ყოფილ ტყვეებს და იმათგან მრავალიც კი შეაცდინეს, ვითომ შინ დააბრუნეს, მაგრამ, როგორც ვიცით, ბევრს მათგანს ჯერ კიდევ სამშობლო თვალით არ უხილავს.

კომიტეტის მოწოდებას სხვათა შორის ხელს აწერს ყოფილი ემიგრანტი შალვა ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძე იურისტი ქ. რუსთავიდან. სჩანს მას გენერლის ტიტული ჩამოაშორეს, ალბათ იმისთვის, რომ ეს ტიტული მათი პროპაგანდისათვის არ გამოდგებოდა...

ის კომუნისტური გაზეთები, რომელშიდაც მაღლაკელიძის წერილი იყო მოთავსებული, მიუნხენიდან დაეგზავნა, როგორც ქართველებს, ისე სხვა კავკასიელებსაც... და გასაკვირი ის არის, რომ ეს გაზეთები თითქოს დაგზავნილია მიუნხენში მცხოვრებ ქართველების მიერ... კონვერტებზე აღნიშნულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გვარები. ამ სტრიქონების ავტორის სახელითაც დაუგზავნიათ ეს გაზეთები სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებისთვის... ამ სამწუხარო შემთხვევას მივყავართ იმ დასკვნამდი, რომ ჩვენ შორის ბოლშევიკებს შეიძლება ყავდეს თავისი ხალხი, რომელნიც ასე მოხერხებულათ ასრულებენ მათ დავალებებს. სიფრთხილე გვმართებს. აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობის დახმარებით გენ. მიხაილოვის კომიტეტმა მოაწყო გასულ თვეში პრესის კონფერენცია, რომელსაც დასწრებია 130 კორესპოდენტი, მათ შორის დასავლეთიდანაც... ამ კონფერენციაზე გამოვიდა ვრცელი მოხსენებით ახლად გადასული უკრაინელი-ფედერალისტი პროფ. ვასილაკი, რომელმაც თავის მოხსენებაში სასტიკათ გაილაშქრა ამერიკულ კომიტეტის წინააღმდეგ. პროფ. ვასილაკი ადგილობრივ ემიგრანტულ წრეებში ცნობილი იყო თავისი დეზორგანიზატორული და პროვაკაციული ხასიათის მუშაობით... «საკოორდინაციო ცენტრი»-ს დაშლის შემდეგ—ის როგორც უკრაინელი-ფედერალისტი, იწყებს მუშაობას ემიგრანტების სხვადასხვა ჯგუფის და სხვადასხვა ეროვნებათა უმნიშვნელო წრეებში და ცდილობს ახალი ორგანიზაციის შექმნას, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანთაგანი იქნებოდა ბრძოლა არსებულ და მომქმედ ავტორიტეტულ ეროვნულ ორგანიზაციების წინააღმდეგ. აშკარა იყო, რომ ამ შემთხვევაში მოქმედებდა პროვაკატორის ხელი და ეს პროვაკატორი გამოდგა თვით შეფი ამ ორგანიზაციისა პროფ. ვასილაკი. ის ბერლინიდან უკვე გაამგზავრეს უკრაინაში. ეხლა ყველა ეროვნული ემიგრანტული ორგანიზაციები დგამენ ამა თუ იმ ნაბიჯს ბოლშევიკების მორიგი იერიშების მოსაგერიებლათ... და ჩვენც მოვალენი ვართ ამ მიმართულებით საჭირო ზომები მივიღოთ.

სანდრო კორძაია.

გულს არ ვიტეხთ!

(26 მაისის გამო)

თუ აქამდე მოსკოვი თავის ბატონობას და ბრძანებლობას საქართველოში ერის ცხოვრების ყველა დარგში ახორციელებდა ადგილობრივი ქართველი კომუნისტების შემწეობით, გარეგნულათ მოსაჩვენებლათ ერის შინაგან წყობას და საზოგადო საქმიანობას არ უკარგავდა ეროვნულ ელფერს, დღეს მისი პოლიტიკა გაშიშვლდა და აშკარა ხდება რუსეთის სულისკვეთება, რათა საქართველო გადააქციოს თავის შინაგან პროვინციათ.

კარგა ხანია ქართული ეროვნული ჯარების გაერთიანებული ნაწილების ხელმძღვანელობას სათავეში «შეფათ» ჩაუყენა რუსის გენერალი და მით წაშალა მოჩვენებითი ქართული ეროვნული ჯარის სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროს, როდესაც დასავლეთის «დახავსებული კაპიტალისტური რეაქციონერები» თავიანთ კოლონიებში ანთავისუფლებენ ადგილობრივ ერებს და თანასწორ უფლებებს ანიჭებენ. კომუნისტური რუსეთი, რომელიც თავის თავს რევოლიუციონურ-პროგრესიულ ძალათ აღიარებს, კარლ მარქსის სახელით და დროშით, უკანასკნელ ომის გათავების შემდეგ იპყრობს მრავალ ტერიტორიებს და უსპობს ერებს თავისუფლებას. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ დასავლეთის დიდი შეცდომა, როცა მან ვერ აუღო ალღო, ვერ დაინახა კომუნიზმის საფრთხე კაცობრიობისთვის და თვით შეუწყო ხელი, რომ მრავალი პატარა ერები მოსკოვის მონობის უღელ ქვეშ ჩვენს ბედში ჩაეყარა. ამ შეცდომამ კაცობრიობა დიდ განსაცდელის წინაშე დააყენა და რომ დროზე არ მოსულიყვნენ გონს, ევროპის თავისუფალი ქვეყნები მოსკოვის კომუნიზმის მსხვერპლი გახდებოდენ. რუსეთის ექსპანსიას, მის ზრახვებს გადაეღობა წინ ამერიკის და დასავლეთის გაერთიანებული შეიარაღებული სამხედრო ძალები თავისი მატერიალური სიძლიერით.

კბილებამდე შეიარაღებულ რუსეთთან «მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა» გამორიცხულია; ამ ორ ერთი მეორის უარისმყოფელ ძალების ერთათ ცხოვრება და რუსის კომუნიზმის მოთვინიერება შეუძლებელია. როგორც არ უნდა განვითარდეს ქვეყნის ამბები, როგორი ფორმებიც არ უნდა მიიღოს დასავლეთის და რუსეთის ურთიერთობამ, ერთი ცხადია, ცხოვრების განვითარების წინ სვლას, ისტორიის აუცილებლობას კომუნისტური დიქტატურის ხიშტები მუდმივათ ვერ შესძლებენ გზა გადაუღობონ. რუსეთის წითელი დესპოტია ისევე დაინგრევა, როგორც სხვები დანგრეულან და ჩვენ სამშობლოსაც ეღირსება ტყვეობიდან განთავისუფლება და ჩვენ ბრწყინვალე დღეს-26 მაისს კვლავ აღდგომა.

ამ იმედით შევყურებთ ჩვენი ქვეყნის მომავალს და ამიტომ გულს არ ვიტეხთ.

ალ. ტატიშვილი.

სერგო მათითაიშვილი.

მოხუცთა თავშესაფარში, აბონდანში, უეცრათ გარდაიცვალა («გულის გახეთქა») ცნობილი რევოლიუციონერი სერგო მათითაიშვილი.

როდესაც სერგო მათითაიშვილი საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა—გურიაში რევოლიუციონური მოძრაობა უკვე გაჩაღებული იყო. ის პირველი დღიდანვე მიემხრო ამ მოძრაობის მეთაურ სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას და მის რიგებში ჩადგა. მოძრაობას, როგორც შიგნით, ისე გარეთ, ბევრი მტერი ყავდა. შიგნით—ეს იყვენ ისინი, ვინც აბეზღებდენ მოძრაობის მეთაურებს მთავრობასთან. გარეთ—მთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრობის მოხელენი, რომელთა თავგასულობას საზღვარი არ ქონდა. ორთავე ამათგან თავდაცვა აუცილებელი გახდა. და ამ თავდაცვის ერთი მონაწილე და მეთაურთაგანი გახდა ახალგაზრდა სერგო. ეს გზა ყველაზე უფრო სახიფათო იყო, მაგრამ ის ამას არ შეუშინდა და ათეული წლების განმავლობაში მამაცურათ განაგრძობდა მას.

მთელი ოცი წლის განმავლობაში იბრძოდა ის იარაღით ხელში იმ მავნე ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც თან სდევდენ მოძრაობას და ამ ბრძოლას მუდამ და ყოველთვის აწარმოებდა საერთო ხელმძღვანელობით და არას დროს პირადი თვითნებობით. დისციპლინა, მორჩილება საერთო ხელმძღვანელობის, მას მიაჩნდა მოძრაობის ქვაკუთხედათ და თავის ხანგრძლივ მუშაობაში მას ის ერთხელაც არ დაურღვევია. ხანგრძლივი არალეგალური ცხოვრება და ისიც იარაღით ხელში—ხშირათ იწვევს ზოგიერთ არასასურველ შედეგებს, მაგრამ სერგოს ცხოვრებაში ასეთ რამეს ერთხელაც არ ქონია ადგილი. ამიტომ იყო რომ ხალხი მას ენდობოდა, ინახავდა და უვლიდა. ამის გამო იყო, რომ მიუხედავათ მრავალნაირი ცდისა,—პოლიციამ ის ერთხელაც ვერ ჩაიგდო ხელში.

არალეგალური მდგომარეობიდან ის გამოვიდა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს და მაშინვე ჩადგა სახალხო გვარდიის რიგში. ის არჩეული იქნა ოზურგეთის გვარდიის მეთაურათ და ამ გვარდიასთან ერთად აწარმოვა ბრძოლა ყოველგან, სადაც კი ამის საჭიროება მოითხოვდა.

რესპუბლიკა დაეცა, ქვეყანა მტერმა დაიპყრო, სერგო დარჩა პირისპირ ბოლშევიკებთან. მართალია, ბოლშევიკებმა პირველსავე დღეს გამოაცხადეს ზოგიერთი წრეების მიმართ ამნისტია, მაგრამ იმავე დროს შეუდგენ ზოგიერთი პირების არალეგალურათ მოსპობას, რომელთაც საიდუმლო მკვლელებიც კი დაუნიშნეს. ერთი ამათგანი იყო ს. მათითაიშვილი, რომელსაც მის თანამებრძოლ თეოფილე მუხაშარიასთან ერთად გაშმაგებით დაეძებდენ და მათ ხელში ჩასაგდებათ არავი თარ ხარჯებს არ ერიდებოდენ. ცხადი იყო, რომ თუ დაიჭერდენ—მას დახვრეტა არ აცდებოდა. ის იძულებული შეიქნა ისევ არალეგალურათ ცხოვრებას დაბრუნებოდა.

სანამ ასეთ დევნილთა რიცხვი ცოტა იყო, მათი შენახვა, ბინის შოვნა, ადგილიდან ადგილზე გადაყვანა, გაფრთხილება თავდასხმის ასაცდენათ—შედარებით ადვილათ ხერხდებოდა. მაგრამ რეპრესიების გაძლიერებასთან ერთად, იზრდებოდა დევნილთა რიცხვიც, რისთვისაც საჭირო გახდა საგანგებო ორგანიზაციის შექმნა. ამ ორგანიზაციის მუშაობა მეტად რთული და ძნელი შეიქნა, მაგრამ მათდა სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მათ ეს უდიდესი პასუხისმგებლობა პირნათლათ შეასრულეს. ოთხი წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა რომელიმე დევნილის ჩავარდნისა. უნდა ითქვას ისიც რომ თვით დევნილები ყოველგვარად გაურბოდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის აგენტებთან შეტაკებას. მიუხედავათ მათი ოჯახების საშინელი აწიოკებისა, მათ ერთხელაც არ მიუმართავთ იარაღისათვის შურის საძიებლათ, რომ ამით ხალხისათვის ზედმეტი ტანჯვა არ მიეყენებიათ. გამძლეობა, გასაჭირის ატანა, თავდადება იდეალისათვის, დაყუდებული ბერის ასკეტიზმი და ამხანაგისათვის თავისდადება, იარაღის ხმარება საერთო მიზნისათვის და არა პირადი ტანჯვის ნიადაგზე—აი რა თვისებით იყვენ აღჭურვილი სერგო და მისი ამხანაგები.

ამ დევნილთა ჯგუფმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა, როგორც სამხედრო მუშაობაში, ისე ხალხის საბრძოლველათ დარაზმვაში. და ამავე დროს დიდ დახმარებას უწევდენ პარტიულ ორგანიზაციებს სხვადასხვა ტექნიკურ და საორგანიზაციო მუშაობაში.

სერგომ დიდი მონაწილეობა მიიღო აგვისტოს აჯანყებაში. ის იყო სამაზრო სამხედრო შტაბის წევრი და თვით აჯანყების დროს დაკისრებული ქონდა მთელი ჩოხატაურის რაიონის განიარაღება, რაც მან საუცხოოთ შეასრულა.

აჯანყება დამარცხდა. სერგო თავის თანამებრძოლებით საზღვარგარეთ გამოვიდა. აქ ცხოვრობდა საფრანგეთში და საკუთარი შრომით თავს ირჩენდა, სანამ არ უღალატა ჯანმრთელობამ. ათეული წლების უბედურების და მღელვარებით აღსავსე ცხოვრებამ მისი გული დაასუსტა და უეცრად მოსწყვიტა ცხოვრებას...

დადგება დრო, როცა განთავისუფლებული ქართველი ხალხი მოწიწებით და თაყვანისცემით მოიგონებს იმ უამრავ მსხვერპლს, რომელიც შეეწირა საქართველოს განთავისუფლებას და მათ შორის, რა თქმა უნდა საპატიო ადგილი მიეკუთვნება ამხ. სერგო მათითაიშვილს...

გრ. ურატაძე.

სერ. მათითაიშვილი დასაფლავებულია დროებით აბონდანის სასაფლაოზე, მაგრამ მეგობრების მზრუნველობით ის მალე გადმოსვენებული იქნება ლევილის ძმათა სასაფლაოზე, სადაც არა ერთი და ორი მისი ამხანაგი და თანამებრძოლია დასაფლავებული. გ. უ.

ალექსანდრე ჯაფარიძე.

ამა წლის 6 მაისს პარიზში მოულოდნელათ გარდაიცვალა ალექსანდრე ჯაფარიძე. იგი დაიბადა სოფ. ობჩაში (დასავლეთ საქართველოში), განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში და პეტროგრადის უნივერსიტეტში. შემდეგ მთელი თავისი ცხოვრება სახელმწიფო და საზოგადოებრივ მუშაობაში გაატარა.

მიდის ძველი ემიგრაცია და მას თან მიაქვს ტრადიცია უცხოეთშიც დაცვის კარგი ქართული ზნე-ჩვეულების, ოჯახის და სამშობლოს სიყვარულის, საზოგადოებისთვის უანგარო მუშაობის. ასეთი იყო ალ. ჯაფარიძე და მისი ოჯახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე განსვენებულს ამ 40—45 წლის წინათ გავეცანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროფესიის ნიადაგზე: კოოპერაციაში. იგი წარმომადგენელი იყო სახელმწიფო ბანკის, რათა თვალყური ეგდო, რომ მის მიერ გაცემული სესხი საკრედიტო ამხანაგობებს (სასოფლო ბანკებს) დანიშნულებისამებრ დაეხარჯათ და სესხის უკან დაბრუნება უზრუნველეყოთ. ამ სტრიქონების დამწერი კი ამიერ-კავკასიის კოოპერაციის წარმომადგენელი იყო, ერთი მისი ხელმძღვანელთაგანი. ამ ნიადაგზე ვხვდებოდით ჩვენ ერთი-მეორეს.

განსვენებული არ იყო «ჩინოვნიკი», რომელიც კმაყოფილდება თავისი პირდაპირი მოვალეობით; ალ. ჯაფარიძე ნამდვილი მოამაგე და ხელმძღვანელი იყო სახალხო ბანკების: იგი უხსნიდა ამ ბანკების ხელმძღვანელთ კოოპერაციის მნიშვნელობას, მის საზოგადოებრივ ხასიათს, ინიციატივის და თვითმოქმედების მნიშვნელობას საზოგადოებაში და მის დამაბრკოლებელ მიზეზებს. აქ იგი ნამდვილი დემოკრატი და სოციალისტი იყო. ამიტომ, როცა აბსოლუტური რეჟიმი დაეცა, კოოპერატივებმა მისცეს ახალგაზდა რესპუბლიკას პირველი კადრი ცოტათ თუ ბევრათ მომზადებულ მუშაკების, ეროობას (თემს) და პატარა ქალაქების თვითმართველობას. ბევრი იყო მათ შორის ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით სასოფლო ბანკებში გაწრთვნილი.

თვითონ ალ. ჯაფარიძე თავისუფალ საქართველოში არჩეული იყო ქალ. ქუთაისის თვითმართველობის საბჭოს თავმჯდომარეთ; შემდეგ მას ჩაბარდა მძიმე მოვალეობა სასურსათო საქმის მოწესრიგების; ჯერ დასავლეთ და შემდეგ მთელ საქართველოს სასურსათო კომიტეტის წევრი იყო განსვენებული; ბოლოს ქალაქთა კავშირის კომიტეტის წევრიც. იგი ყოველთვის პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას და პატივისცემას იმსახურებდა...

შემდეგ ემიგრაცია. აქ იძულებული იყო განსვენებული მძიმე მუშაობისთვის მოეკიდა ხელი ოჯახის შესანახათ, რაშიდაც მას დიდ დახმარებას უწევდა მისი განსვენებული მეუღლე ოლღა. ამ რამდენიმე წლის წინ, ამ უკანასკნელის გარდაცვალება უდიდესი ჭრილობა იყო ალექსანდრესთვის. იგი ცდილობდა შეუმჩნევლათ გადაეტანა ეს მეტად მძიმე დანაკლისი და თავის ვაჟისთვის (ახალგაზდა მეცნიერისთვის) ხელის შეწყობით და საზოგადო საქმისადმი ინტერესებით დაეფარა იგი... მაგრამ ჯანმრთელობამ უღალატა განსვენებულს.

დაინგრა ყველასთვის საყვარელი, თბილი ოჯახი. ამ ოჯახის ყველა მეგობარი საუკუნოთ დაიცავს მის ხსოვნას და იმედს, რომ მათი ვაჟი, სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, შეინახავს იმ ქართულ სულს, რომელსაც ყველა გრძნობდა მის საყვარელ მშობელთა ოჯახში. მასთან არის ჩვენი გულითადი თანაგრძნობა.

ვ. ვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაპყრობის წლის თავზე.

ამა წლის 27 თებერვალს, ქართულ ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი იმ მიმულიშვილთა ხსოვნის აღსანიშნავათ, რომელნიც მსხვერპლად შეეწირენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას 1921 წ. თებერვალში. მამა ილიამ წარმოსთქვა ფრიად შინაარსიანი სიტყვა მათ სადიდებლათ...

ივანე ვარაზაშვილის გარდაცვალება.

ამა წლის 15 მარტს, ქალაქ თეჰერანში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ინჟინერი ივანე სოფრომის ძე ვარაზაშვილი—76 წლისა. დასაფლავება მოხდა 18 მარტს ირანის ორტადოქსალურ სასაფლაოზე, რასაც მწუხარებით აუწყებს ირანში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოება.

ქ. ხასანია.

რასულ-ზადეს გარდაცვალება.

ანკარაში გარდაიცვალა აზერბაიჯანის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ემინ-ბეი რასულ-ზადე. იგი ლიდერი იყო აზერბაიჯანის ყველაზე უფრო ძლიერი პარტიის, მუსავატის; მომხრე იყო როგორც თავის ხალხის, ისე ყველა კავკასიელ ერების თავისუფლების და მათი კავშირის.

საქართველოს მთავრობის წევრებმა, ქართულ ეროვნულ საბჭომ, საქ. სოც.-დემ. პარტიის ბიუროომ და სხვებმა გაგზავნეს სამძიმრის დეპეშები.

——

ამა წლის 3 მარტს სტამბოლში გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი რასულ-ზადეს ხსოვნის საპატივცემულოთ. ჩვენმა მეგობარმა ს. მენალარმა ქართველების სახელით წარმოსთქვა სიტყვა.

ადრიენ მარკეს გარდაცვალება.

ქალაქ ბორდოში გარდაიცვალა ადრიენ მარკე, საფრანგეთის ყოფილი მინისტრი, დეპუტატი და ქალ. ბორდოს მერი. მის სახელს კარგათ იცნობს ქართველობა. 1920 წელს მან, სოციალისტურ დელეგაციასთან ერთად, იმგზავრა საქართველოში და იქ გაეცნო დამოუკიდებელ საქართველოს წესწყობილებას და არსებობის პირობებს. მას შემდეგ განსვენებული ერთგული მეგობარი დარჩა ქართველების და ომის წინ არა ერთხელ გამოსულა საჯაროთ საქართველოს საკითხის დასაცავათ.

ქართულ ორგანიზაციებმა შესაფერ დეპეშებით გამოსთქვეს თავისი ღრმა მწუხარება ამ დიდი მეგობრის დაკარგვის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკიტა იმნაიშვილის ძეგლის გახსნა.

20 მაისს, ლევილის ძმათა სასაფლაოზე გაიხსნა ამხ. ნიკიტა იმნაიშვილის ძეგლი, რომელიც აუგო მას მისმა ძმამ ნიკო იმნაიშვილმა. ძეგლის გახსნას დაესწრო მრავალი ამხანაგი და პატივისმცემელი. მამა ილიამ გადაიხადა პანაშვიდი. გალობდა ქართული გუნდი. ნიკო იმნაიშვილის მიერ ყველა დამსწრენი მიწვეული იქნენ ბ. მ. ცაგარელის რესტორანში, სადაც მათთვის გამზადებული იყო მოსაგონარი სადილი. აქ ნიკიტას დასახასიათებლათ და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ამბების შესახებ წარმოითქვა საინტერესო სიტყვები და ბოლოს ნ. იმნაიშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ თანაგრძნობისა და იმ თბილ მოგონებათა გამო, რომელიც აქ წარმოითქვა.

გ. ნოზაძის მოხსენება.

ამა წლის 14 იანვარს, პარიზის შვედელთა დარბაზში წაკითხულ იქნა ფრანგულ ენაზე მოხსენება ჩვენი თანამემამულე გიორგი ნოზაძის: «ძველ და ახალ ქართულ მხატვრობაზე». მოხსენებას თან ახლდა ეკრანზე გაშუქებული ორასამდე ქართული მხატვრობის საუკეთესო ნიმუშების რეპროდუქციები, მოყოლებული მერვე საუკუნიდან—გათავებული თანამედროვე მხატვრობით.

ამ ერთგვარ გამოფენა-მიმოხილვაში ავტორი შეეცადა აღენიშნა ჩვენი ძველი მხატვრობის განვითარების ეტაპები, რამდენათ განიცდიდა ის უცხოეთის გავლენას, როგორ განვითარდა ახალი მხატვრობა და რა ღირებულებას წარმოადგენს დღევანდელი ქართული საბჭოთა მხატვრობა. მომხსენებელმა აღნიშნა ის ყალბი შეხედულება, რომელიც უკანასკნელ დრომდე არსებობდა, სახელდობრ ძველი მხატვრობის ბიზანტიურ შტოთ გამოცხადებით. მან ნათელჰყო ძველი ქართული მხატვრობის ეროვნული თავისებურობა, მოიყვანა მაგალითები ძველი ქართული ეკლესიების; გარეჯის, უბისის და სხ. ფრესკები, რომლის ანალოგიურ შემოქმედებას ბიზანტიურ მხატვრობაში ადგილი არ აქვს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დავით გარეჯელის ცხოვრებიდან გამოყენებულ სიუჟეტებს ქართულ მხატვრობაში უკავია ისეთივე ადგილი, როგორც ფრანსუა დასსიზს იტალიურ რენესანსის მხატვრობაში, იმ განსხვავებით, რომ ქართველი წმინდანი სამ საუკუნეზე ადრე ცხოვრობდა. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის, რომ ადამიანის ემოციალობის გადმოცემა მხატვრობაში ორ საუკუნეზე ადრე მიაღწიეს ქართველმა მხატვრებმა, ვინემ ბიზანტიელებმა. აღნიშნულ იქნა აგრეთვე, თუ როგორ მაღლა იდგა მინიატურული და წიგნთა გადამწერლობის ხელოვნება, რომლებიც ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმის დასუსტების გამო ქართველ ერს თანდათანობით დაუკარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოხილვაში ნაჩვენები იყო აგრეთვე თუ ჩვენმა მხატვრებმა როგორ გამოიყენეს პოემა ვეფხის ტყაოსნის მრავალი სიუჟეტები მხატვრობაში. მათ შორის აღსანიშნავია მე-16 საუკუნის მხატვარი თავქარაშვილი თავისებური სტილით. ქართული მხატვრული შემოქმედება არ შეჩერებულა ამბობს ავტორი, მიუხედავათ ომიანობისა, რომელსაც ქართველი ერი აწარმოებდა თავის დასაცავათ, ამის საუკეთესო ნიშანია წალენჯიხის და გელათის მხატვრობა. უკანასკნელ საუკუნეებში იმ დროს, როდესაც ევროპაში მხატვრობა უაღრესათ განვითარდა, შეიქნა ახალი სტილი და სხვადასხვა მიმართულებანი რომლის მეთაურად გამოდის საფრანგეთი, რუსეთი შერჩა მე-18 საუკუნის აკადემიურ რეალისტურ სტილს, რომელზედაც დღემდეა შეჩერებული. საიდანაც განდევნილია სხვა სტილი, მიმართულებანი მონათლული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ იდეოლოგიის ნაყოფათ. ამ ხანებში ქართული მხატვრობა განიცდის დაცემას. მხოლოდ ნიკო ფიროსმანი წარმოადგენს გამონაკლიის—ამბობს მომხსენებელი, რადგან მან მოგვცა ერთსა და იმავე დროს ეროვნული და საკაცობრიო ღირებულების შედევრები. ამ ქართული მხატვრული დაკნინების მიზეზი იყო, რომ ფიროსმანი პირველად უცხოელებმა აღმოაჩინეს და მიაქციეს ყურადღებაო.

საბჭოთა ხელისუფლებამ ნიკო ფიროსმანი და მისი მიმდევრები განდევნა ქართულ მხატვრობიდან და მხატვრობა ჩააყენა ზევიდან მოცემულ გენერალურ ხაზში. ასეთ პირობებში სადაც ხელოვანი გამოყენებულია, როგორც პარტიის საპროპაგანდო იარაღი, რაც გენიალური იყვეს ის, ნამდვილ მხატვრულ ღირებულებას ვერ მოგვცემს.

შემდეგ მომხსენებელი იხილავს პარიზში მყოფ ქართველ მხატვრების შემოქმედებას, აღნიშნავს მათ მთავარ მხატვრულ დამახასიათებელ თვისებებს. დასასრულ მომხსენებელი იმედს გამოსთქვამს, რომ თავისუფალ ქართულ სახელმწიფოში ქართველი შემომქმედნი კვლავ მიაღწევენ მაღალ მწვერვალებს, რადგან ქართველი ერის პოტენციალური შემოქმედება არ ამოწურულაო...

დიდი მადლობის ღირსია მომხსენებელი, რომ მისმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და დამსწრე უცხო საზოგადოება დააკმაყოფილა. ჩვენს ეროვნულ კულტურის პროპაგანდას უცხოეთში სწორედ ასეთი გამოსვლები ესაჭიროება...

ბ. ს.

ბ-ნ ალ. კინწურიშვილის მოხსენება.

ამა წლის 17 აპრილს, ყოფილ მხედართა კავშირის თაოსნობით, გამართულ კრებაზე ბ-ნ კინწურიშვილმა წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: «თანამედროვე ომის ფაქტორები». მიუხედავათ საგანის სპეციალობისა, მომხსენებელმა მდაბიო და გასაგები ენით ძლიერ დაინტერესა დამსწრე საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი აბონდანიდან.

საქ. ს.-დ. პ. პარიზის ორგანიზაციის კომიტეტმა მიიღო აბონდანის მოხუცთა თავშესაფარში მყოფ ჩვენი პარტიის მოხუცი წევრებისაგან წერილი, რომლის შინაარს აქვე ვბეჭდავთ შემოკლებით.

მიუხედავათ ჩვენი ხნოვანობისა, ჩვენ დაინტერესებული ვართ ჩვენი პარტიის ცხოვრებით და მისი ყოველდღიური მუშაობით. ს.-დ. პარტია უპირველესად ყოვლისა ემსახურება ჩვენი სამშობლოს თავისუფლების იდეიას, რომ იგი გახდეს ღირსეულ წევრათ თავისუფალ საერთაშორისო საკაცობრიო ოჯახის. ჩვენი სურვილია ჩვენი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ჩვენი წვლილი შეტანილ იქნეს პარტიის გასამაგრებლათ. ამიტომ ვაცხადებთ აქაურ ჩვენს შემადგენლობას ერთ-ერთ პარტიულ ერთეულათ და პარიზის ორგანიზაციაში შემოვდივართ. ურთიერთ შორის მუდმივ და მჭიდრო კავშირისათვის გვეყოლება რწმუნებული. როცა საჭირო გახდება ჩვენი ყველას პარიზში ჩამოსვლა, ვალდებულათ ვთვლით ჩვენს თავს პარტიის მოთხოვნილება შევასრულოთ.

საწევრო გადასახადს სავალდებულოთ ვღებულობთ.

ხელს აწერენ: ალ. მებურიშვილი, ს. ჩიკვილაძე, ერ. ურუშაძე, გ. წერეთელი, ლ. ყღენტი, სან. ჭყონია, ნ. მელქაძე.

«ჩვენი დროშა»-ს ფონდი.

სოშოდან მივმღეთ ამხ. გ. ქვარცხავას მიერ შეგროვილი: დ. კვერღელიძისაგან, გ. ქვარცხავასაგან, ვ. დ—საგან—თითეულისაგან ათასი ფრანკი; ი. შავდიასაგან 500 ფრ.; მ. ჯინჭარაძისაგან 400 ფრ.; თედორე ზედგინიძისაგან, ვალოდია სალუქვაძისაგან, შ. ქურციკიძისაგან, გ. აბულაძისაგან, ს. ჭირაქაძისაგან, კ. რიქამაძისაგან—თითეულისაგან 200 ფ.—სულ 5300 ფრ.

გრიშა ბარამიძისაგან, გაფრინდაშვილისაგან—თითეულისაგან 2.000 ფრ.; ანტონ ყორყოლიანისაგან, გერ. სურგულაძისაგან, იაკობ(იაშა)ელიგუშალვილისაგან, ც—ასაგან—თითეულისაგან 1000 ფრ.; დ. რევაზიშვილისაგან, ყ. გრიგოლაშვილისაგან—თვითეულისაგან 500 ფრ.

ირანიდან ქ-ნ ქსენიასაგან ამხ. მოდებაძის ხელით 10 დოლარი.

აბონდანიდან ს. ჩიკვილაძისაგან 700 ფრ.

ამხ. ავთანდილ ურუშაძის გარდაცვალება.

ნომერი გამზადებული იყო დასაბეჭდათ, რომ მივიღეთ სამწუხარო ცნობა: სტამბოლში, საავადმყოფოში გარდაიცვალა ავთანდილ ურუშაძე. ნეკროლოგი შემდეგ ნომერში.

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.